

**პრეზიდენტი ჰენრი ბ. აირინგი**
პირველი პრეზიდენტობის პირველი მრჩეველი

# არ შეგეშინდეთ სიკეთის კეთებისა

*უფალი გვეუბნება, რომ როცა მის კლდეზე რწენით ვიდგებით, ეჭვი და შიში დასუსტდება; სიკეთის კეთების სურვილი კი მოიმატებს.*

ძვირფასო დებო და ძმებო, მე ვლოცულობ იმაზედ, რომ უფლის სული იყოს ჩვენთან ჩემი გამოსვლის დროს. გული სავსე მაქვს მადლიერებით უფლისადმი, რომლის ეკლესიაც ეს არის, იმ შთაგონებისათვის, რომელიც ვიგრძენით კონფერენციის მხურვალე ლოცვებში, შთაგონებულ გამოსვლებში და ანგელოზურ გალობაში.

აპრილში პრეზიდენტმა თომას ს. მონსონმა თავისი გამოსვლით მრავალი გული ააჩუყა მთელს მსოფლიოში, ჩემი ჩათვლით. მან ისაუბრა მორმონის წიგნის ძალაზე. შეგვაგულიანა ვისწავლოთ, ვიფიქროთ და მოვარგოთ მისი სწავლებები ჩვენს ცხოვრებას. იგი დაგვპირდა, რომ თუ ყოველდღე დავუთმობდით დროს მის წაკითხვასა და გააზრებას და დავიცავდით მცნებებს, რომლებიც მოცემულია მორმონის წიგნში, ჩვენ გვექნებოდა ჭეშმარიტების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დამოწმება და შემაჯამებელი დამოწმება ცოცხალ ქრისტეზე, რაც უსაფრთხოდ გაგვატარებდა გზაზე გასაჭირის ჟამს. (იხ. "The Power of the Book of Mormon," *Liahona,* May 2017, 86–87.)

როგორც მრავალი თქვენგანი, მეც გავიგონე წინასწარმეტყველის სიტყვები, როგორც ჩემკენ მომართული უფლის ხმა. და როგორც მრავალმა თქვენგანმა, გადავწყვიტე ამ სიტყვებზე დამორჩილება. ახალგაზრდობიდან ვიგრძენი დამოწმება იმაზედ, რომ მორმონის წიგნი არის სიტყვა ღვთისა და რომ მამა და ძე გამოეცხადნენ ჯოზეფ სმითს და ესაუბრნენ მას და რომ ძველი დროის წინასწარმეტყველები მოევლინნენ წინასწარმეტყველ ჯოზეფს ეკლესიის სამღვდელოების გასაღებების აღსადგენად.

ამ დამოწმებით მე 50 წელზე მეტია ყოველდღე ვკითხულობ მორმონის წიგნს. ასე რომ, ალბათ შემეძლო მეფიქრა, რომ პრეზიდენტ მონსონის სიტყვები ვიღაცისთვისაა და არა ჩემთვის. და მაინც, როგორც მრავალმა თქვენგანმა, მე ვიგრძენი წინასწარმეტყველის შეგულიანება და მისი მოწვევა, გამომეჩინა მეტი ძალისხმევა. მრავალმა თქვენგანმა იგივე გააკეთა, რაც მე: უფრო დიდი ზრახვით ილოცეთ, უფრო ღრმად ჩაუფიქრდით წმინდა წერილს და მეტად ეცადეთ, ემსახუროთ უფალს და ადამიანებს უფლისათვის.

ჩემთვისაც, ისე როგორც მრავალი თქვენგანისთვის, ამის ბედნიერი შედეგი იყო წინასწარმეტყველის დაპირება. მათ, ვინც ეს შთაგონებული რჩევა გულთან მიიტანეს, უფრო მკვეთრად იგრძნეს სულიწმინდა. ჩვენ მოგვეცა უფრო დიდი ძალა ცდუნების დასაძლევად და ჩვენი რწმენა აღმდგარ იესო ქრისტეში, მის სახარებასა და მის ცოცხალ ეკლესიაში უფრო გაძლიერდა.

ახლა, როცა სამყაროში იზრდება აურზაური, ამ გაძლიერებულმა დამოწმებებმა განდევნეს ეჭვი და შიში და მოგვგვარეს სიმშვიდის გრძნობა. პრეზიდენტ მონსონის რჩევის მიღებამ ჩემზე კიდევ ორი შესანიშნავი გავლენა მოახდინა: პირველი - დაპირებულმა სულიწმინდამ მომიტანა ოპტიმიზმი მომავლისადმი, მაშინაც კი, როცა აურზაური სამყაროში თითქოს მატულობს. და მეორე: უფალმა მომცა, მეც და თქვენც, უფრო დიდი სიყვარულის გრძნობა მათ მიმართ, ვინც განსაცდელშია. ჩვენ ვიგრძენით მომატებული სურვილი სხვების გადასარჩენად. ეს სურვილი პრეზიდენტ მონსონის მსახურებისა და სწავლების შუაგულია.

უფალი შეპირდა სიყვარულს სხვების მიმართ და სიმამაცეს წინასწარმეტყველ ჯოზეფ სმითსა და ოლივერ ქაუდერის იმ მომენტებში, როცა მათ დავალება რთულად ეჩვენებოდათ. უფალმა თქვა, რომ საჭირო სიმამაცე მოვიდოდა მათი რწმენისგან მასში, როგორც მათი კლდე:

„არ შეგეშინდებათ სიკეთის კეთებისა, ჩემო შვილებო, რამეთუ რასაც დათესავთ, იმას მოიმკით; ასე რომ, თუ კეთილს დათესავთ ასევე კეთილს მოიმკით, როგორც ჯილდოს.

„ასე რომ, ნუ გეშინია, პატარა სამწყსოვ; აკეთეთ სიკეთე; გინდაც მიწა და ჯოჯოხეთი ერთად აღსდგნენ თქვენ საწინააღმდეგოდ, თუ ჩემს კლდეზე ააშენეთ, ისინი ვერ დაგძლევენ.

„აჰა, არ გგმობთ; იარეთ თქვენს გზაზე და ნუღარ შესცოდავთ; ფხიზლად შეასრულეთ საქმე, რომელიც დაგავალეთ.

„ყოველ ფიქრში მე მომმართეთ; ნუ გექნებათ ეჭვი ან შიში.

„აჰა, შეხედეთ ჭრილობებს ჩემს გვერდში და ლურსმნების ანაბეჭდებს ჩემს ხელებსა და ტერფებზე; იყავით ერთგულნი, დაიცავით ჩემი მცნებები და დაიმკვიდრებთ ცის სასუფეველს“ (მოძღვრება და აღთქმები 6:33-37).

უფალმა უთხრა აღდგენის ხელმძღვანელებს და იგი გვეუბნება ჩვენც, რომ როცა მის კლდეზე რწმენით ვიდგებით, ეჭვი და შიში დასუსტდება; სიკეთის კეთების სურვილი კი მოიმატებს. როცა მივიღებთ პრეზიდენტ მონსონის მოწვევას, დავთესოთ გულში იესო ქრისტეს დამოწმება, ჩვენ მივიღებთ ძალას, სურვილსა და სიმამაცეს სხვების გადასარჩენად და აღარ შევწუხდებით ჩვენი საჭიროებების გამო.

მე ეს რწმენა და სიმამაცე ბევრჯერ მინახავს, როცა ბოლო დროის მორწმუნე წმინდანები შემაშინებელი განსაცდელების წინაშე დამდგარან. მაგალითად, აიდაჰოში ვიყავი, როცა ტეტონის დამბა დაინგრა 1976 წ. 5 ივნისს. წყლის კედელი ჩავარდა. ათასობით ხალხი გაიქცა სახლებიდან. ათასობით სახლი და ბიზნესი დაინგრა. საოცარია, რომ 15 ადამიანზე ნაკლები დაიღუპა.

იქ ვიხილე ის, რაც მინახავს ყოველთვის, როცა უკანასკნელ დღეთა წმინდანები მყარად იდგნენ იესო ქრისტეს მოწმობის კლდეზე. ისინი უშიშარნი ხდებიან, რადგან მათ ეჭვი არ ეპარებათ, რომ იგი ზრუნავს მათზე. ისინი უგულებელყოფენ საკუთარ განსაცდელს სხვების მდგომარეობის შესამსუბუქებლად. როცა ამას აკეთებენ უფლის სიყვარულის გამო, ისინი ანაზღაურებას არ ითხოვენ.

მაგალითად, როცა ტეტონის დამბა დაინგრა, უკანასკნელ დღეთა წმინდანთა ერთ-ერთი წყვილი სახლიდან შორს მოგზაურობდა. როგორც კი მათ რადიოთი შეიტყვეს ამბები, სწრაფად დაბრუნდნენ რექსბურგში. იმის ნაცვლად, რომ თავიანთ სახლში წასულიყვნენ, ისინი ეპისკოპოსს ეძებდნენ. იგი იმყოფებოდა შენობაში, რომელიც იმ დროს აღდგენის ცენტრის ფუნქციას ასრულებდა. იგი ეხმარებოდა ათასობით მოხალისის კოორდინაციაში, რომლებიც ყვითელი სასკოლო ავტობუსებით ჩამოდიოდნენ.

ცოლ-ქმარი ეპისკოპოსს მიუახლოვდა და უთხრა: „ჩვენ ამწუთას დავბრუნდით. ეპისკოპოსო, სად წავიდეთ დასახმარებლად“? მან ოჯახი მიუჩინა. ეს წყვილი ერთი სახლიდან მეორეში გადადიოდა და ტალახსა და წყალს იღებდნენ. ისინი დღეების განმავლობაში გათენებიდან დაღამებამდე მუშობდნენ. როგორც იქნა შეისვენეს და საკუთარი სახლის სანახავად გაემართნენ. იგი წყალმა მთლიანად წაიღო და დასასუფთავებელიც აღარაფერი იყო. ასე რომ ისინი სწრაფად დაბრუნდნენ ეპისკოპოსთან. ჰკითხეს მას: „არის ვინმე, ვისაც დახმარება სჭირდება“?

ჩუმი სიმამაცისა და მოწყალების საოცრება - ქრისტეს სრულყოფილი სიყვარულის გამოვლენა - წლების განმავლობაში მთელს მსოფლიოში გამეორდა. ეს მოხდა წინასწარმეტყველ ჯოზეფ სმითის დროს, მისურიში, დევნის საშინელ დღეებში. ეს მოხდა, როცა ბრიგამ იანგი წინ უძღვოდა გამოსვლას ნავუდან და შემდეგ მოუწოდა წმინდანებს, წასულიყვნენ უდაბნოში შეერთებული შტატების დასავლეთ ნაწილში, რათა უფლის სიონის შენებაში დახმარებოდნენ ერთმანეთს.

თუ იმ პიონერების დღიურებიდან ამონარიდებს წაიკითხავთ, დაინახავთ, რომ რწმენის სასწაული განდევნის შიშსა და ეჭვს. და თქვენ წაიკითხავთ, როგორ თმობდნენ საკუთარ ინტერესებს პიონერები უფლისთვის, სხვების დასახმარებლად, სანამ თავიანთ ცხვარს ან საკუთარ მოუხნავ მინდვრებს დაუბრუნდებოდნენ.

მე იგივე საოცრება ვნახე რამდენიმე დღის წინ ქარიშხალ ირმას შემდეგ, პუერტო რიკოში, წმინდა თომასსა და ფლორიდაში, სადაც წმინდანები სხვა ეკლესიებთან ადგილობრივ თემებთან და ეროვნულ ორგანიზაციებთან ერთად ჩაერთნენ დასუფთავების პროცესში.

მსგავსად ჩემი მეგობრებისა რექსბურგში, ერთ-ერთი მეუღლებული წყვილი ფლორიდაში, არაწევრები, რომლებმაც საკუთარ სახლზე მუშაობას არჩიეს სხვების დახმარება. უკანასკნელ დღეთა წმინდანებმა შესთავაზეს დახმარება, რადგან ორი დიდი ხე იყო მანქანის გზაზე დაცემული. მეუღლეებმა აუხსნეს, რომ არ იცოდნენ, რა ექნათ და არჩიეს სხვების დახარება. თუმცა სწამდათ, რომ უფალი დაეხმარებოდათ საკუთარ სახლში პრობლემების მოგვარებაში. კაცმა მოგვიანებით გაგვიზიარა, რომ ეს წყვილი ლოცულობდა, სანამ ეკლესიის წევრები მოვიდოდნენ დასახმარებლად. მათ მიიღეს გაერთიანების სასწაული. ასეც მოხდა სულ რამდენიმე საათში ამ დასტურის მიღების შემდეგ.

მე გავიგე, რომ ზოგიერთი უკანასკნელ დღეთა წმინდანებს „ყვითელ ანგელოზებს უწოდებენ, რადგან მათ ყვითელი მაისურები ეცვათ წარწერით „დახმარების ხელები“. ერთ-ერთმა უკანასკნელ დღეთა წმინდანმა აიღო მისი მანქანა დასახმარებლად და ადამიანმა, რომელიც იმ ქალბატონს ეხმარებოდა, გვითხრა, რომ სულიერი გამოცდილება მიიღო, როცა ადამიანებმა ყვითელ მაისურებში მისი ბაღიდან ხეები გამოიტანეს და მერე მას უმღერეს სიმღერა „მე შვილი ვარ ღვთისა“.

ფლორიდის სხვა მაცხოვრებელმა, ასევე არა ჩვენი მრწამსის,

გაიხსენა, რომ უკანასკნელ დღეთა წმინდანები მოვიდნენ მასთან სახლში, როცა იგი თავის განადგურებულ ბაღში მუშაობდა და იყო სასოწარკვეთილი, სცხელოდა და ლამის ტიროდა. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, მოხალისეებმა „ნამდვილი სასწაული“ მოახდინეს“. ისინი არა მხოლოდ ბეჯითად მუშაობდნენ, არამედ ღიმილითა და სიცილით და თანაც უანგაროდ.

მე ვიხილე ის სიბეჯითე და გავიგონე სიცილი, როცა შაბათს, გვიან ღამე, ის უკანასკნელ დღეთა წმინდანთა ჯგუფი მოვინახულე ფლორიდაში. მოხალისეებმა სულ ცოტა ხნით შეწყვიტეს დასუფთავება, რათა ჩემთვის ხელი ჩამოერთმიათ. მათ მითხრეს, რომ წინა ღამეს მათი პალოდან ჯორჯიაში 90 კაცმა შეიმუშავა გეგმა ფლორიდაში მაშველთა ჯგუფის დასახმარებლად.

ისინი ჯორჯიიდან დილის 4 საათზე გამოვიდნენ, რამდენიმე საათი მანქანით იარეს, მთელი ღამე იმუშავეს და მეორე დღის სამუშაო გეგმას ადგენდნენ.

და ისინი ამას ყველაფერს ღიმილითა და იუმორით ყვებოდნენ. ერთადერთი სტრესი, რომელიც ვიგრძენი, იყო როცა მათ მადლობების მოსმენის ნაცვლად სამუშაოს გაგრძელება არჩიეს. პალოს პრეზიდენტმა კვლავ გააგრძელა გუნდური მუშაობა. იგი დაცემულ ხეზე მუშაობდა, ეპისკოპოსი კი ტოტებს აჭრიდა მას, როცა ჩვენ მანქანაში ჩავსხედით მეორე მაშველთა გუნდის მოსანახულებლად.

იმის წინ, როცა სხვა ადგილიდან მოვდიოდით, მანქანასთან მამაკაცი მოვიდა, ქუდი მოიხადა და მადლობა გადაგვიხადა მოხალისეების გამო. მან თქვა: „მე არ ვარ თქვენი ეკლესიის წევრი. დაუჯერებელია, რაც გააკეთეთ ჩვენთვის. ღმერთმა დაგლოცოთ“. უდღ მოხალისე მის გვერდით იდგა, იღიმებოდა და მხრებს იჩეჩავდა ისე, თითქოს ქებას არ იმსახურებდა.

მაშინ, როცა მოხალისეები ჯორჯიიდან მოვიდნენ იმ ადამიანის დასახმარებლად და იგი ამას ვერ იჯერებდა, ასობით უკანსკნელ დღეთა წმინდანმა ფლორიდის იმ დაზარალებულ ადგილიდან ათასობით კილომეტრი გამოიარა ფლორიდის მეორე მხარეში მოსახვედრად, სადაც ამბობდნენ, რომ ხალხი მეტად დაზარალდა.

იმ დღეს გამახსენდა და უკეთ გავიგე წინასწარმეტყველ ჯოზეფ სმითის მიერ ნაწინასწარმეტყველები სიტყვები: „ღვთის სიყვარულით სავსე ადამიანი არასდროს არ არის კმაყოფილი მხოლოდ თავისი ოჯახის კურთხევებით; იგი ცდილობს, მთელ მსოფლიოში დალოცოს კაცობრიობა“*Teachings of Presidents of the Church: Joseph Smith* [2007], 426).

ჩვენ ყველგან ასეთ სიყვარულს ვხედავთ უკანასკნელ დღეთა წმინდანთა ცხოვრებაში. ყოველთვის, როცა მსოფლიოში რაიმე ტრაგიკული ხდება, უკანასკნელ დღეთა წმინდანები მოხალისედ მიდიან ეკლესიის ჰუმანიტარული სამუშაოს შესასრულებლად. იშვიათად ხდება საჭირო ამისთვის ოფიციალური თხოვნით მიმართვა. ფაქტობრივად, ზოგიერთ შემთხვევაში, ჩვენ გვიწევს, ვთხოვოთ მათ, ვინც მზადაა მოხალისედ წასასვლელად, დაელოდონ, სანამ სამუშაოს ხელმძღვანელები მზად იქნებიან მათ მისაღებად.

ეს კურთხევის სურვილი არის იმ ადამიანთა ნაყოფი, ვინც მიიღო დამოწმება იესო ქრისტეს, მისი სახარების, აღდგენილი ეკლესიისა და მისი წინასწარმეტყველების შესახებ. აი რატომ უფლის ხალხს არ აქვს შიში ან ეჭვი. აი რატომ მიდიან მისიონერები მსახურებაზე მსოფლიოს ყოველ კუთხეში. აი რატომ ლოცულობენ მშობლები შვილებთან ერთად სხვებისთვის. აი რატომ აგულიანებენ ხელმძღვანელები ახალგაზრდებს, ყურად იღონ პრეზიდენტ მონსონის მოთხოვნა და ჩაიძირონ მორმონის წიგნის გულში. ეს ნაყოფი ჩნდება არა ხელმძღვანელთა წაქეზებით, არამედ ახალგაზრდებისა და წევრების რწმენაზე დაფუძნებული მოქმედებით. ამ რწმენას, რომელიც მოითხოვს უანგარო მსხვერპლს, მოაქვს გულის შეცვლა და აგრძნობინებს ღმერთის სიყვარულს.

თუმცა ჩვენი გულები დარჩება შეცვლილ მდგომარეობაში მხოლოდ მაშინ, როცა გავაგრძელებთ წინასწარმეტყველის რჩევის მიყოლას. თუ ერთი მცდელობის შემდეგ გავჩერდებით, ცვლილება დაიკარგება.

ერთგულმა უკანასკნელ დღეთა წმინდანებმა აღზარდეს თავიანთი რწმენა უფალ იესო ქრისტეში, მორმონის წიგნში და ღვთის სიტყაში და სამღვდელოების გასაღებების აღდგენაში უფლის ჭეშმარიტ ეკლესიაში. ამ გაზრდილმა დამოწმებამ მოგვცა უფრო მეტი სიმამაცე და ზრუნვა ღვთის სხვა შვილების მიმართ. მაგრამ წინ გველის სირთულეები და საშუალებები, რომლებიც მოითხოვს ამაზე მეტს.

ჩვენ ვერ გავთვლით წინასწარ დეტალებს, მაგრამ ვხედავთ სრულ სურათს. ჩვენ ვიცით, რომ უკანასკნელ დღეებში სამყარო აირევა. ჩვენ ვიცით, რომ ნებისმიერი სირთულეების დროს უფალი წინ გაუძღვება ერთგულ უკანასკნელ დღეთა წმინდანებს, რათა იესო ქრისტეს სახარება იქნას მიტანილი ყოველ ერთან, ტომთან, ყოველი ენისთვისა და ხალხისთვის. და ჩვენ ვიცით, რომ უფლის ჭეშმარიტი მოწაფეები იქნებიან ღირსნი და მომზადებულნი მისი ხელმეორედ მოსვლისთვის. ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს.

ასე რომ, რადგან უკვე აღვზარდეთ რწმენა და სიმამაცე გულებში, უფალი ელის უფრო მეტს ჩვენგან - და ასევე მომავალი თაობებისგანაც. მათ მართებთ მეტი ძალა და სიმამაცე, რადგან მოუწევთ ჩვენზე უფრო მეტი და დიდი საქმის შესრულება. და ისინი დადგებიან უფრო ძლიერი წინააღმდეგობის წინაშე მათ სულის მოწინააღმდეგებისგან.

ჩვენ წინ სიარულის პროცესში უფალმა მოგვცა ოპტიმიზმის მოსაპოვებელი გზა: „ყოველივე ფიქრში მე მომმართეთ; ნუ გეშინიათ და ნუ ეჭვობთ“. (მოძღვრება და აღთქმები 6:36). პრეზიდენტმა მონსონმა გვითხრა, როგორ მოვახერხოთ ეს. ჩვენ უნდა დავფიქრდეთ და მოვარგოთ მორმონის წიგნი, ასევე წინასწარმეტყველების სიტყვები, ჩვენს ცხოვრებას. ყოველთვის ვილოცოთ.

ვიყოთ მორწმუნენი. ვემსახუროთ უფალს მთელი ჩვენი გულით, ძალით, გონებითა და ღონით. ჩვენ უნდა ვილოცოთ ჩვენი გულის მთელი ენერგიით მოწყალების ანუ ქრისტეს სრულყოფილი სიყვარულისთვის. (see მორონი 7:47–48). რაც ყველაზე მთავარია: უნდა ვიყოთ თანმიმდევრულნი და შეუპოვარნი წინასწარმეტყველის რჩევის გაყოლაში.

როცა გზა რთულია, ჩვენ შეგვიძლია დავენდოთ უფლის რჩევას - დაპირება, რომელიც გაგვახსენა პრეზიდენტმა მონსონმა, როცა ხშირად ციტირებს მხსნელის სიტყვებს: „ვინც მიგიღებთ, მეც მიმიღებს, რადგან თქვენ წინ ვივლი. მე ვიქნები შენს მარჯვენა და მარცხენა მხარეს და ჩემი სული იქნება თქვენს გულებში, ჩემი ანგელოზები იქნებიან შენს თავს გარშემორტყმულნი, რათა მხარში ამოგიდგნენ" (მოძღვრება და აღთქმები 84:88).

მე ვმოწმობ, რომ უფალი ყოველთვის თქვენ წინ მიდის, როცა თქვენ მის დავალებას ასრულებთ. ზოგჯერ თქვენ იქნებით ანგელოზი ვინმესთვის, სადაც უფალი გაგაგზავნით სხვების წამოსაყვანად. ზოგჯერ თქვენ მოგეხვევიან ანგელოზები, რათა წამოგაყენონ. მაგრამ ყოველთვის გულში გეყოლებათ სულიწმინდა, როგორც ამას გპირდებიან ყოველ ზიარებაზე. თქვენ მხოლოდ უფლის მცნებები უნდა დაიცვათ საამისოდ.

ღვთის სასუფევლისთვის დედამიწაზე წინ უკეთესი დღეები გველის. საპირისპირო ძალები გააძლიერებს ჩვენს რწმენას იესო ქრისტეს მიმართ, როგორც ეს იყო წინასწარმეტყველ ჯოზეფ სმითის დროიდან. რწმენა ყოველთვის ამარცხებს შიშს. ერთად დგომას მოაქვს ერთობა. და თქვენს ლოცვებს გასაჭირში მყოფთათვის ისმენს და პასუხობს მოსიყვარულე ღმერთი. იგი არც თვლემს და არც სძინავს.

მე ვმოწმობ, რომ მამაღმერთი ცოცხალია და სურს, მოხვიდეთ მასთან. ეს არის იესო ქრისტეს ჭეშმარიტი ეკლესია. იგი გიცნობთ თქვენ, მას უყვარხართ, იგი ზრუნავს თქვენზე. მან გამოისყიდა თქვენი და მამაზეციერის ყველა შვილის ცოდვა. მივყვეთ მას ცხოვრებაში და ვემსახუროთ სხვებს არის ერთადერთი გზა მარადისობისკენ.

მე ამას ვმოწმობ და გიტოვებთ კურთხევებსა და სიყვარულს. იესო ქრისტეს წმინდა სახელით, ამინ.

## სადღეისო სწავლება

2017 წ. ნოემბრიდან 2018 წ. აპრილამდე მელქიცედეკის სამღვდელოებისა და მოწყალების საზოგადოების გაკვეთილები თვის მეოთხე კვირას უნდა მომზადდეს 2017 წ. ოქტომბრის გენერალური კონფერენციის მასალებიდან. 2018 წ. აპრილში გამოსვლების შერჩევა შეგიძლიათ აპრილის ან ოქტომბრის გენერალური კონფერენციის მასალებიდან. პალოსა და ოლქის პრეზიდენტებს შეუძლიათ აირჩიონ გამოსვლები, რომლებსაც ისინი გამოიყენებენ თავიანთ ოლქებში ან დაავალონ ეს ეპისკოპოსებსა და მრევლის პრეზიდენტებს.

გამოსვლები სხვადასხვა ენებზე იხილეთ **conference.lds.org.**

© 2017 by Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/17.
თარგმანი დამტკიცებულია: 6/17. თარგმანი *First Presidency Message, November 2017*. Georgian 97931 131



**პრეზიდენტ დიტერ უხტდორფის მიერ**
პირველი პრეზიდენტობის მეორე მრჩეველი

# სამი და

*ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ ჩვენს საკუთარ მოწაფეობაზე და ამას არ აქვს არანაირი კავშირი იმასთან, როგორ გვექცევიან სხვები.*

ძვირფასო დებო, ძვირფასო მეგობრებო, მნიშვნელოვანი და შესანიშნავია გენერალური კონფერენციის დაწყება სესიით დებისთვის . წარმოიდგინეთ: სხვადასხვა ასაკის, ცხოვრებისეული გამოცდილების, ეროვნებისა და ენის მქონე დები, გაერთაინებულები რწმენაში და სიყვარულში უფალ იესო ქრისტეს მიმართ.

როცა არც თუ ისე დიდი ხნის წინ შევხვდით ჩვენს საყვარელ წინასწარმეტყველს, თომას ს. მონსონს, მან გვითხრა, რაოდენ ძლიერ უყვარს მას უფალი. და მე ვიცი, რომ პრეზიდენტი მონსონი ძალიან მადლიერია თქვენი სიყვარულისთვის, ლოცვებისთვისა და უფლის ერთგულებისთვის.

დიდი ხნის წინ შორს ცხოვრობდა სამი და.

პირველი იყო მოწყენილი. არაფერი, დაწყებული ცხვირიდან ნიკაპამდე და დამთავრებული კანითა და ფეხის თითებით, არ ჰქონდა ისეთი, როგორც მას სურდა. ზოგჯერ საუბრისას იგი უცნაურად წარმოთქვამდა სიტყვებს და ხალხი დასცინოდა. როცა ვინმე აკრიტიკებდა ან „ავიწყდებოდა" მისი დაპატიჟება სადმე, იგი წითლდებოდა და იმალებოდა ისეთ ადგილას, სადაც ვერავინ ვერ მიაგნებდა; იქ ნაწყენი ამოიოხრებდა და გაიკვირვებდა, რატომ იყო ცხოვრება ასეთი უღიმღამო და უსიხარულო.

მეორე და **გაბრაზებული იყო.** მას ეგონა, რომ იყო ძალიან ჭკვიანი, მაგრამ ყოველთვის მოიძებნებოდა ვინმე, ვინც უფრო მაღალ ქულებს აიღებდა სკოლაში. იგი ფიქრობდა, რომ იყო მხიარული, ლამაზი, თანამედროვე და მომხიბვლელი. მაგრამ ყოველთვის მოიძებნობოდა ვინმე ისეთი, ვინც უფრო მხიარული, უფრო ლამაზი, უფრო თანამედროვე და უფრო მიმზიდველი იყო.

იგი არასდროს და არაფერში არ იყო პირველი და ამას ვერ იტანდა. ცხოვრება ასეთი არ უნდა ყოფილიყო!

ზოგჯერ იგი სხვებზე იყრიდა ჯავრს და თითქოს ყოველთვის ცოტაღა აკლდა იქამდე, რომ რაიმეს არ გამოეყვანა იგი მდგომარეობიდან.

რა თქმა აუნდა, ეს არანაირად არ ეხმარებოდა მას იმაში, რომ უფრო მოსაწონი ან პოპულარული გამხდარიყო. ზოგჯერ იგი კბილებს აკრაჭუნებდა, მუშტებს კრავდა და ფიქრობდა: „ცხოვრება ისეთი უსამართლოა".

იყო კიდევ მესამე და. ორი დისგან განსხვავებით იგი მხიარული იყო. და ეს არა იმიტომ, რომ იგი თავის დებზე უფრო ჭკვიანი, ლამაზი ან მოხერხებული იყო. არა, ზოგჯერ ადამიანები მასაც არიდებდნენ თავს და არ აღიქვამდნენ. ზოგჯერ ისინი დასცინოდნენ მას იმის გამო, თუ რა ეცვა ან რას ამბობდა. ზოგჯერ ცუდსაც კი ამბობდნენ მასზე. მაგრამ იგი დიდად არ აქცევდა ამას ყურადღებას.

ამ დას უყვარდა სიმღერა. დიდად სმენა არ ჰქონდა და ხალხი დასცინოდა, მაგრამ ამან იგი არ შეაკავა. იტყოდა ხოლმე: „მე არ დავუშვებ, რომ ვინმეს აზრმა შემაკავოს სიმღერისგან"!

ის ფაქტი, რომ იგი მაინც მღეროდა, პირველ დას სევდას ჰგვრიდა, მეორეს კი აბრაზებდა.

მრავალი წელი გავიდა და ბოლოს ყოველმა დამ ამოწურა თავისი დრო დედამიწაზე.

პირველი და, რომელიც გამუდმებით აკეთებდა აღმოჩენას, რომ გულგატეხილობა არ მთავრდება ცხოვრებაში, გარდაიცვალა *მოწყენილი.*

მეორე, რომელიც ყოველდღე აღმოაჩენდა ხოლმე რაღაც ახალს, რაც არ მოსწონდა, გარდაიცვალა *გაბრაზებული.*

მესამე და, რომელმაც გაატარა ცხოვრება სიმღერით, არ იშურებდა საამისოდ ძალას და სახეზე თვითდაჯერებულობის ღიმილი ჰქონდა, გარდაიცვალა *გახარებული.*

რა თქმა უნდა, ცხოვრება არასდროს არ არის ასეთი მარტივი

და ადამიანები არ არიან სულ ერთ ტალღაზე, როგორც ეს სამი და მონაყოლიდან. მაგრამ ასეთი განსაკუთრებული მაგალითებიც გვასწავლის რაღაცას. თუ თქვენ უმეტესობის მსგავსი ანუ ჩვენნაირი ხართ, თქვენ ამოიცნობდით რაიმე საერთოს პირველ, მეორე ან სამივე დაში ერთდროულად. მოდით განვიხილოთ თითოეული მათგანი.

მსხვერპლი

პირველი და ხედავდა საკუთარ თავს მსხვერპლის როლში - თითქოს ვიღაცა განაგებდა მის ცხოვრებას.[1] თითქოს და სულ ხდებოდა რაღაც, რის გამოც იგი უბედურად გრძნობდა თავს. ასეთი მიდგომით იგი სხვებს აძლევდა იმის ნებას, რომ ემართათ მისი გრძნობები და საქციელი. როცა ასე ვიქცევით, ჩვენ ყოველი აზრის ქარი გვიტაცებს და დღეს, როცა სოციალური ქსელები ყველგან იჩენს თავს, ეს ქარი ქარიშხლის ძალით უბერავს.

ძვირფასო დებო, რატომ უნდა დაუთმოთ ბედნიერება ვინმეს ან რაღაც ჯგუფებს, რომლებიც ასე მცირედ ზრუნავენ თქვენზე და თქვენს ბედნიერებაზე?

თუ თქვენ გაწუხებთ, რას ამბობენ თქვენზე სხვები, მინდა შემოგთავაზოთ საპირისპირო რამ: გახსოვდეთ, ვინ ხართ. გახსოვდეთ, რომ თქვენ ღვთის სასუფევლის სამეფო კარიდან ხართ, ღვთიური მშობლების ასულნი, რომელნიც მეფობენ მთელს სამყაროში.

თქვენ ღმერთის სულიერი დნმ-ი გაქვთ. თქვენ გაქვთ უნიკალური ძღვენი, წარმოშობით თქვენი სულიერი დაბადებიდან, რომელიც თქვენი მიწიერი ცხოვრების დიდ მონაკვეთზე განვითარდა. თქვენ ხართ მოწყალე, მარადიული ზეციური მამის შვილები, ცაბაოთ უფლისა, ჩვენი სამყაროს შემოქმედის, რომელმაც ამ უზარმაზარ სივრცეში ვარსკვლავები მოფანტა და ორბიტებზე პლანეტები დასვა.

თქვენ მის ხელში ხართ.

ძალიან სანდო ხელში.

მოსიყვარულე ხელში.

მზრუნველ ხელში.

და რაც არ უნდა თქვან თქვენზე სხვებმა, ამით არაფერი არ შეიცვლება. მათი სიტყვები არაფერია იმასთან შედარებით, რასაც ღმერთი ამბობს თქვენზე.

თქვენ მისი ძვირფასი შვილი ხართ.

თქვენ მას უყვარხართ.

მაშინაც კი, როცა წაბორძიკდებით, როცა მას ზურგს შეაქცევთ, ღმერთს მაინც უყვარხართ. თუ დაკარგულად გრძნობთ თავს, მიტოვებულად ან მივიწყებულად - ნუ გეშინიათ. მწყემსი კეთილი გიპოვით. იგი სიხარულით შეგისვამთ მხრებზე. იგი სახლში წაგიყვანთ.[2]

ძვირფასო დებო, გთხოვთ, შეუშვით გულში ღრმად ეს ღვთიური ჭეშმარიტება. და აღმოაჩენთ, რომ უამრავი მიზეზია იმისთვის, რომ არ მოიწყინოთ, რადგან მარადიული დანიშნულება გაქვთ შესასრულებელი.

სამყაროს საყვარელმა მხსნელმა სიცოცხლე დათმო, რათა თქვენ შეგძლებოდათ იმ დანიშნულების რეალობად ქცევა. თქვენ საკუთარ თავზე აიღეთ მისი სახელი; თქვენ მისი მოწაფენი ხართ. და მის გამო, თქვენ შეგიძლიათ, შეიმოსოთ მარადიული დიდების სამოსით.

მოძულე

მეორე და სამყაროზე გაბრაზებული იყო. მოწყენილი დის მსგავსად იგი ფიქრობდა, რომ მისი პრობლემები ცხოვრებაში ვიღაცის ბრალი იყო. იგი ადანაშაულებდა ოჯახს, მეგობრებს, უფროსსა და თანამშრომლებს, პოლიციას, მეზობლებს, ეკლესიის ხელმძღვანელებს, თანამედროვე მოდის ტენდენციას, მზის სიკაშკაშის ძალასაც კი და უბრალოდ ცუდ ბედს და იგი ყველაზე იყრიდა ჯავრს.

ის სულაც არ ფიქრობდა, რომ ცუდი პიროვნება იყო. პირიქით, იგი ფიქრობდა, რომ საკუთარ თავს იცავდა. მისი აზრით ყველას ამოძრავებდა ეგოისტობა, სიძულვილი და სულმდაბლობა. მას კი მხოლოდ კარგი ზრახვები ამოძრავებდა - სამართლიანობა, პატიოსნება და სიყვარული.

სამწუხაროდ, გაბრაზებული დის აზროვნება მეტისმეტად ჩვეულებრივია. ეს აღინიშნა ბოლო ხანების გამოკვლევაში, როგორც ორ დაპირისპირებულ ჯგუფთა შორის კონფლიქტის წყარო. გამოკვლევის ნაწილი იყო პალესტინელებისა და ისრაელიელების გამოკითხვა ახლო აღმოსავლეთში და რესპუბლიკელებისა და დემოკრატებს შორის შეერთებულ შტატებში. მათ აღმოაჩინეს, რომ „ყოველი მხარე თვლიდა, რომ მათ ჯგუფს ამოძრავებდა სიყვარული და არა სიძულვილი, მაგრამ როცა ჰკითხეს, რატომ ჩაერთო დაპირისპირებული ჯგუფი ამ კონფლიკტში, ისინი ასახელებდნენ სიძულვილს როგორც ჯგუფის მამოძრავებელ ფაქტორს“.[3]

ანუ ყოველი ჯგუფი თვლიდა, რომ ისინი „კარგები“ არიან - კეთილი, სამართლიანი და სანდო. ამის საპირისპიროდ, ისინი ხედავდნენ დაპირისპირებულ ჯგუფს როგორც „ცუდებს“ - გაუცნობიერებულთ, არაპატიოსანთ და ბოროტთ.

იმ წელს, მე რომ დავიბადე, სამყარო ჩაძირული იყო საშინელ ომში, რომელმაც სამყაროს აუტანელი გლოვა და დიდი მწუხარება მოუტანა. ეს ჩემმა ერმა ჩაიდინა - ადამიანთა ჯგუფმა, რომლებმაც გადაწყვიტეს, რომ გარკვეული სხვა ჯგუფები ბოროტნი იყვნენ და წააქეზეს მათ მიმართ სიძულვილში.

ისინი აჩუმებდნენ მათ, ვინც არ მოსწონდათ. ისინი მათ არცხვენდნენ და დესპოტურად ეპყრობოდნენ. მათ ზემოდან უყურებდნენ და ადამიანებად არ თვლიდნენ. როცა ერთხელ დაამცირებ ადამიანთა ჯგუფს, ეს იმის ტოლფასია, რომ ამართლებ მათ წინააღმდეგ სიტყვიერ და ფიზიკურ ძალადობას.

ყრუანტელი მივლის, როცა ვფიქრობ იმაზე, რა მოხდა მე-20 საუკუნეში გერმანიაში.

როცა ვინმე გვიპირისპირდება ან არ გვეთანხმება, ჩნდება ცდუნება იფიქრო, რომ ამ ადამიანებს რაღაც სჭირთ. იქიდან კი სულ პატარა

ნაბიჯია იმისკენ, რომ დაუკავშირო მათ სიტყვებსა და ქმედებებს ყველაზე საშინელი ზრახვები.

რა თქმა უნდა, ჩვენ უნდა ყოველთვის დავიცვათ სიმართლე და არის დრო, როცა ამისთვის ხმაც კი უნდა ავიმაღლოთ. თუმცა, როცა ამას გულში წყრომითა ან სიძულვილით ვაკეთებთ, როცა სხვებზე ვიყრით ჯავრს, რათა გული ვატკინოთ, შევარცხვინოთ ან გავაჩუმოთ ვინმე - არსებობს იმის შანსი, რომ მართალნი არ ვართ.

რას გვასწავლიდა მხსნელი?

„მე კი გეუბნებით: გიყვარდეთ თქვენი მტრები, დალოცეთ თქვენი მაწყევრები, სიკეთე უყავით თქვენს მოძულეებს და ილოცეთ მათთვის, ვინც თქვენ გავიწროებთ და გდევნით

„რათა იყოთ თქვენი ზეციერი მამის ძენი“.[4]

ეს არის მხსნელის გზა. ეს არის პირველი ნაბიჯი იმ ბარიერის დასანგრევად, რომელიც ამდენ წყრომას, სიძულვილს, დაყოფასა და ძალადობას ქმნის მსოფლიოში.

შეიძლება თქვათ: „კი“, „შევიყვარებ მტერს, თუკი ისიც შემიყვარებს.“

მაგრამ ეს არც თუ ისე მნიშვნელოვანია, ხომ ასეა? ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ ჩვენს საკუთარ მოწაფეობაზე და ამას არ აქვს არანაირი კავშირი იმასთან, როგორ გვექცევიან ჩვენ სხვები. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ისინი გაგებითა და მოწყალებით მოგვექცევიან, მაგრამ ჩვენი *მათ მიმართ* სიყვარული არ არის დამოკიდებული *ჩვენზე*.

იქნებ ჩვენი მცდელობა - გვიყვარდეს მტერი, მათ გულს მოულბობს და კარგ გავლენას მოახდენს მათზე. შეიძლება ისეც იყოს, რომ არა. მაგრამ ეს არ შეცვლის ჩვენს გადაწყვეტილებას, მივყვეთ ქრისტეს.

ასე რომ, ჩვენ, როგორც იესო ქრისტეს ეკლესიის წევრებს, გვეყვარება მტერი.

ჩვენ დავძლევთ შიშსა თუ სიძულვილს.

ჩვენ ავავსებთ გულს ღვთის ყოველი შვილის მიმართ.

ჩვენ მივწვდებით სხვებს, რათა დავლოცოთ ისინი და ვემსახუროთ მათ, მათაც კი, ვინც „ბოროტად გვიყენებს და გვდევნის“.[5]

## ნამდვილი მოწაფე

მესამე და წარმოადგენს იესო ქრისტეს ნამდვილ მოწაფეს. მან გააკეთა ის, რისი გაკეთებაც უაღრესად ძნელია: იგი ენდობოდა ღმერთს მაშინაც კი, როცა დასცინოდნენ ან გასაჭირში იყო. რაღაცნაირად იგი ინარჩუნებდა რწმენასა და იმედს, დაცინვისა და ცინიზმის მიუხედავად. იგი მხიარულად ცხოვრობდა არა იმიტომ, რომ მისი ცხოვრება იყო მხიარული, არამედ იმიტომ, რომ *თავად* იყო მხიარული.

ვერავინ ვერ იცხოვრებს წინააღმდეგობების გარეშე. როცა ირგვლივ იმდენი ძალებია, რომლებიც ცდილობენ ჩვენ სხვა მიმართულებით წაყვანას, როგორ არ გადავიტანოთ ყურადრება ერთგულებისთვის დაპირებული ბედნიერებიდან?

ალბათ პასუხის პოვნას შევძლებთ ათასი წლის წინ წინასწარმეტყველის მიერ ნანახი ხილვით. წინასწარმეტყველს ერქვა ლეხი, მისი ხილვა კი ჩაწერილია ძვირფას, შესანიშნავ მორმონის წიგნში.

იმ ხილვაში ლეხიმ იხილა დიდი მინდორი და საოცარი ხე, რომლის სილამაზეც აღემატებოდა ნებისმიერ აღწერას. მან ასევე იხილა ადამიანების დიდი ჯგუფი, რომლებიც ხისკენ მიიწევდნენ. მათ იმ ჩინებული ნაყოფის დაგემოვნება სურდათ. მათ იგრძნეს და სწამდათ, რომ იგი მათ დიდ ბედნიერებასა და ხანგრძლივ სიმშვიდეს მოუტანდა.

იმ ხისკენ ვიწრო ბილიკი მიდიოდა და მის გასწვრივ რკინის მოაჯირი მიუყვებოდა, რომელიც ეხმარებოდათ მათ ბილიკზე დარჩენაში. მაგრამ იყო ასევე ბნელი ნისლი, რომელიც თვალს უბინდავდა ბილიკისა და ხის დანახვაში. და ალბათ ამაზე უფრო საშინელი იყო დამცინართა სიცილისა და დაცინვის ხმა, რომელიც გამოდიოდა იმ დიდი და ფართო შენობიდან. საკვირველია, რომ დაცინვამ მოახდინა გავლენა იმათზეც კი, ვინც მივიდა ხემდე და გასინჯა საოცარი ნაყოფი და ისინი დარცხვენილნი სხვა მიმართულებით წავიდნენ.[6]

ალბათ ისინი დაეჭვდნენ იმ ხის სილამაზის რეალობაში. ალბათ ისინი დაეჭვდნენ მომხდარის რეალობაში.

იქნებ იფიქრეს, რომ ხისგან სხვა მიმართულებით რომ წასულიყვნენ, ცხოვრება უფრო ადვილი იქნებოდა. იქნებ მათ აღარ დასცინებდნენ.

და ისინი, ვინც დასცინოდნენ, ისე გამოიყურებოდნენ, თითქოს ბედნიერები იყვნენ და კარგად ატარებდნენ დროს. ასე რომ, ხისგან რომ წამოსულიყვნენ, მათ მიიღებდა ის დიდი და ფართო შენობის საზოგადოება და ტაშსაც დაუკრავდნენ მათი განკითხვის, ინტელექტისა და ცოდნის გამო.

## დარჩით ბილიკზე

ძვირფასო დებო, მეგობრებო, თუ ძნელია იმ რკინის მოაჯირზე ჩაჭიდება და მტკიცედ სიარული ხსნისკენ; თუ მათი სიცილი და დაცინვა, ვინც ასე დაჯერებულად იქცევა და გაიძულებს, გადაუხვიო გზას; თუ გაწუხებთ კითხვა, რომელზეც პასუხი არ გაქვთ ან დოქტრინა, რომელიც ჯერ არ გესმით; თუ მოიწყინეთ გულგატეხილობის გამო, მე მინდა შეგაგულიანოთ, გახსოვდეთ ლეხის სიზმარი.

დარჩით ბილიკზე

არასდროს არ გაუშვათ ხელი რკინის მოაჯირს - ღვთის სიტყვას!

და როცა ვინმე ეცდება, შეგარცხვინოთ ღვთის სიყვარულის გამო, არ მიაქციოთ მათ ყურადღება.

არასდროს არ დაგავიწყდეთ, რომ თქვენ ღვთის შვილები ხართ; თქვენ ულევი კურთხევა გელით; თუ შეძლებთ ღვთის ნების შესრულებას, თქვენ მის გარემოცვაში ცხოვრება გელით![7]

ამქვეყნიური ქება და მოწონება არასაიმედო, ყალბი და არადამაკმაყოფილებელია. ღმერთის დაპირებები საიმედო, ჭეშმარიტი და სასიხარულოა, აწ და მარადის.

მე გიწვევთ, განიხილოთ რელიგია და რწმენა უფრო მაღალი

გადასახედიდან. ვერაფერი, რასაც გთავაზობთ დიდი და ფართო შენობა, ვერ შეედრება იესო ქრისტეს სახარებით ცხოვრების ნაყოფს.

ჭეშმარიტად, „რაც თვალს არ უნახავს, ყურს არ სმენია, არც კაცს გულში არ გაუვლია  რმერთმა მოუმზადა თავის მოყვარულებს ".[8]

მე ვისწავლე, რომ იესო ქრისტეს სახარების მოწაფეობის გზას მივყავართ სიხარულისკენ. ეს არის გზა სიმშვიდისა და უსაფრთხოებისკენ. ეს არის გზა ჭეშმარიტებისკენ.

მე ვმოწმობ, რომ სულიწმინდის ძღვენითა და ძალით თქვენ შეგიძლიათ თავად შეიტყოთ ეს.

და თუ ამასობაში გზა გაგირთულდათ, იმედია, რომ იპოვით თავშესაფარსა და ძალას ჩვენს შესანიშნავ საეკლესიო ორგანიზაციებში - დაწყებითი საზოგადოება, ახალგაზრდა ქალები და მოწყალების საზოგადოება. ისინი მანიშნებლებივით არის გზაზე, სადაც შეგიძლიათ განაახლოთ თქვენი დაჯერებულობა და რწმენა იმ მოგზაურობისთვის, რომელიც გელით. ისინი უსაფრთხო სახლია, რომლის წევრადაც თავს გრძნობთ და იღებთ გამბედაობას თქვენი დებისა და მოყვასი მოწაფეებისგან.

ის, რასაც დაწყებით საზოგადოებაში სწავლობთ, გამზადებთ იმ ჭეშმარიტი სწავლებების ასათვისებლად, რომლებსაც ახალგაზრდა ქალების ასაკში ისწავლით. ახალგაზრდა ქალებთან გავლილ გზას მიჰყავხართ მეგობრობისკენ და ურთიერთობებისკენ დებთან მოწყალების საზოგადოებაში. გზის ყოველ ნაბიჯზე გეძლევათ დამატებითი საშუალებები, გამოხატოთ სხვების მიმართ სიყვარული რწმენის, თანაგრძნობის, მოწყალების, პატიოსნებისა და მსახურების საშუალებით.

მოწაფეობის გზის არჩევა მიგიყვანთ ენით აუღწერელ ბედნიერებამდე და თქვენი ღვთაებრივი ბუნების აღსრულებამდე.

ეს არ იქნება ადვილი. ეს მოითხოვს თქვენგან საუკეთესოს - ყოველივე თქვენს ინტელექტს, შემოქმედებას, რწმენას, პატიოსნებას, ძალას, თავდადებულებასა და სიყვარულს. მაგრამ დადგება დღე, როცა უკან მოიხედებით თქვენს მცდელობებზე და ოჰ, რაოდენ მადლიერნი იქნებით იმისთვის, რომ დარჩით ძლიერნი, რომ გწამდათ და რომ არ გადაუხვიეთ გზიდან.

იარეთ წინ

შეიძლება იყოს მრავალი რამ ცხოვრებაში, რასაც ვერ აკონტროლებთ. მაგრამ ბოლოს გექნებათ ძალა, აირჩიოთ თქვენი საბოლოო დანიშნულება და გამოცდილება ცხოვრების გზაზე. ეს უფრო თქვენს შესაძლებლობებს და არა თქვენს არჩევანს ეხება ცხოვრებაში.[9]

თქვენ არ უნდა დართოთ ვითარებებს ნება იმისა, რომ გაგიტეხონ გული.

თქვენ არ უნდა დართოთ ვითარებებს ნება იმისა, რომ გაბრაზდეთ.

შეგიძლიათ გიხაროდეთ, რომ ღვთის ასული ხართ. შეგიძლიათ იპოვოთ სიხარული და ბედნიერება ღვთის მადლში და იესო ქრისტეს სიყვარულში.

თქვენ შეგიძლიათ სიხარული.

მე მინდა შეგაგულიანოთ, აავსოთ გული ღვთის უხვი ულევი სიკეთის მადლიერებით. ჩემო საყვარელო დებო, თქვენ ეს შეგიძლიათ! მე ვლოცულობ ჩემი სულის მთელი სიყვარულით, რომ გააკეთოთ არჩევანი - იაროთ წინ სიცოცხლის ხის მიმართულებით. მე ვლოცულობ იმაზედ, რომ აიმაღლოთ ხმა და აქციოთ ცხოვრება ქების დიდებულ სიმფონიად და გაიხაროთ ღმერთის სიყვარულში, მისი ეკლესიის საოცრებებში და იმაში, რაც იესო ქრისტეს სახარებას მოაქვს სამყაროსთვის.

ჭეშმარიტი მოწაფეობის სიმღერა შეიძლება ზოგიერთისთვის ცოტა ყალბად ან ხმამაღლა ჟღერდეს. ასე იყო დასაბამიდანვე.

მაგრამ ჩვენი მამაზეციერისთვის და მათთვის, ვისაც უყვარს იგი და პატივს მიაგებს მას, ეს ყველაზე ძვირფასი და შესანიშნავი სიმღერაა - უზენაესი და წმინდა სიმღერა ღმერთის გამომსყიდველი სიყვარულისა და მისი მოყვასისადმი მსახურების შესახებ.[10]

მე გიტოვებთ ჩემს კურთხევას, როგორც უფლის მოციქული, რათა ჰპოვოთ ძალა და სიმამაცე, სიხარულით იცხოვროთ როგორც ღმერთის ასულნი მოწაფეობის დიდებულ გზაზე. იესო ქრისტეს წმინდა სახელით, ამინ.

**შენიშვნები**

1. იხ. 2 ნეფი 2:14,26.
2. იხ. ლუკა 15:4–6.
3. Boston College, "Study Finds Intractable Conflicts Stem from Misunderstanding of Motivation," *ScienceDaily,* Nov. 4, 2014, sciencedaily.com.
4. მათე 5:44-45.
5. მათე 5:44.
6. იხ. 1 ნეფი 8.
7. See "I Am a Child of God," *Children's Songbook,* 2–3.
8. იხ.1 კორინთელთა 2:9.
9. See "The Most Inspirational Book Quotes of All Time," pegasuspublishers.com/blog.
10. იხ. Alma 5:26

© 2017 by *Intellectual Reserve, Inc.* ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/17. თარგმანი დამტკიცებულია: 6/17. თარგმანი *Visiting Teaching Message, November 2017.* Georgian. 97931 131